

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N14

ქ. ლანჩხუთი

26 ნოემბერი. 2012 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე, რევაზ ჩიტბე.

სხდომას ეწვებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე, მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მერაბ წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ნინო ძიძიგური, თანაშემწე, დონარა დოლიძე, საკრებულოს აპარატის საოქმო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მანია კველიძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, კახაბერ ასკურავა, გამგებლის მოადგილე, ნუგზარ ღლონტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი, შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი, ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი, როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ლია იმნაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის,

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ირმა მგელაძე, გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მათა აფხაზავა და მედიის წარმომადგენლები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, სარდიონ ჩხაიძე და მედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებოდ დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ს. ჩხაიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N90 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. აფხაზავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გარემოს კვლევის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიზნესის განვითარების კუთხით პრიორიტეტული პროექტების შემუშავების მიზნით საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

6. სხვადასხვა.

დეპუტატმა დავით წულაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის პროექტში საკითხად აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის 9 თვის შედეგების განხილვა.

დეპუტატ დავით წულაძის მიერ დაყენებულ წინადადებასთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ განმარტა, რომ საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 90 – ე მუხლის შესაბამისად საკრებულო მოისმენს და განიხილავს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, გამგებლის წარდგინებით, წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში. საკრებულო მომდევნო წლის პირველი მაისამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. ხოლო რაც შეეხება საბიუჯეტო წლის შიგნით ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის პერიოდულად განხილვას, საკრებულოს კომისიებმა კომისიის სხდომებზე განიხილეს მუნიციპალიტეტის მ/წ 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. მისივე განმარტებით მუნიციპალიტეტის მ/წ 9 თვის ბიუჯეტის შესრულების შედეგები განთავსებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ვებ – გვერდზე და არის საჯარო.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 17 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3–მა (სამი) დეპუტატმა – მაკა კვირკველია, მარინე თურნავა, დავით წულაძე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების თანახმად, სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს გამგებლის თანაშემწე. დებულების იმპერატიულმა დათქმამ პრაქტიკაში რამდენჯერმე წარმოშვა ვაკუუმი. კერძოდ, იყო შემთხვევები, როცა სამსახურის უფროსის არყოფნისას მისი მოვალეობის შესრულება არ შეეძლო თანაშემწეს. ამდენად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეულ სამსახურის დებულებაში შევიდეს ცვლილება და სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა გამგებლის დავალებით შეასრულოს სამსახურის ერთ-ერთმა მოხელემ, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. აღნიშნულის გათვალისწინებით ზემოთაღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება გამგეობის დებულების მე-10 მუხლით და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, გამგებლის დავალებით, სამსახურის უფროსის უფლება - მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის ერთ - ერთი მოხელე.“

სხდომაზე დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 – მა (სამი) დეპუტატმა – დავით წულაძე, მარინე თურნავა, მაკა კვიციანი.

მიღებულ იქნა დადგენილება N33 (26.11. 2012 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებოდ დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, სარდიონ ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს

საკუთრებაში გააჩნია ავტომანქანა ოპელ ომეგა 2.0, გამოშვების წელი 1990, ფერი - ლურჯი 8/8, ტიპი - სედანი, სახ. ნომერი: MQM 005, რომელიც ფაქტიურად ამორტიზებულია და მის შენახვაზე ხარჯების გაწევა არამიზანშეწონილია. ამდენად უნდა მოხდეს ამ ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზება, რაც გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული ავტომანქანის შეტანას საპრივატიზებო ნუსხაში და ავალებს ქონების პრივატიზების მუდმივმომქმედ სააუქციონო კომისიას დადგენილი წესით პრივატიზების ორგანიზებას.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გააორგაველიძემ აღნიშნა, რომ საკითხი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

განკარგულების პროექტის მიმართ დეპუტატების მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 – მა (სამი) დეპუტატმა – დავით წულაძე, მაკა კვიციანი, მარინე თურნავა.

მიღებულ იქნა განკარგულება N96 (26.11. 2012 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N90 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაია აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ შესყიდვების გეგმის პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმაში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის #69 მუხლის საფუძველზე, თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ:

1. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ გაკეთებული ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა შემცირებულიყო რამდენიმე შესყიდვის ობიექტის სავარაუდო

ღირებულება. კერძოდ: საჩუქრებისა და პრიზების შეძენის სავარაუდო ღირებულება შემცირდა 1 000 ლარით, ფილმების ჩვენებასთან დაკავშირებული ხარჯები შემცირდა 780 ლარით, საბავშვო ბანაკების მომსახურების სავარაუდო ღირებულება შემცირდა 500 ლარით. 10 990 ლარით გაიზარდა საახალწლო ღონისძიებების ორგანიზების სავარაუდო ღირებულება.

2. შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაკათებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შესაძლებელია საწვავი ხის მასალის სავარაუდო ღირებულება შემცირდეს 1 500 ლარით.

3. მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლობის მოთხოვნის საფუძველზე 200 ლარით შემცირდა ამავე ბიუროს საკანცელარიო ხარჯი და 400 ლარით გაიზარდა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე 17 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი – დავით წულაძე. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 2–მა (ორი) დეპუტატმა – მაკა კვიციანი, მარინე თურნავა.

მიღებულ იქნა განკარგულება N97 (26.11. 2012 წელი).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გარემოს კვლევის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიზნესის განვითარების კუთხით პრიორიტეტული პროექტების შემუშავების მიზნით საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ.

მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში, როგორც მსხვილი, ისე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად, რომელიც იგეგმება ევრაზიის საინვესტიციო ფონდის მიერ, საჭიროა შეიქმნას დროებითი მუშა ჯგუფი, რომლის მიზანი იქნება მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გარემოს კვლევა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიზნესის განვითარების კუთხით პრიორიტეტული პროექტების შემუშავება, მათი ტექნიკურ - ეკონომიკური დასაბუთებით.

მანვე აღნიშნა, რომ მ/წ ნომბრის თვეში წერილით (N105/02 – 01.11.2012 წ) მოგვმართა საქართველოში ევრაზიის საინვესტიციო ფონდის გენერალურმა წარმომადგენელმა, ზურაბ ჯიბლაძემ. წერილში აღნიშნულია, რომ ფონდი სამეცნიერო ჟურნალ „ქართულ პოლიტიკასთან“ ერთად გეგმავს საინვესტიციო გარემოს შესასწავლად ექსპერტთა კვლევას საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს, როგორც მსხვილი, ისე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით საინვესტიციო პროექტების განვითარებას ეროვნული მეურნეობის მიმართულებით საქართველოს უკლებლივ ყველა რეგიონში. ფონდი ითხოვს ადგილობრივი სპეციალისტების უშუალო მონაწილეობას წინადადებების შემუშავებაში. მანვე სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გარემოს კვლევის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიზნესის განვითარების კუთხით პრიორიტეტული პროექტების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობა. კერძოდ:

1) ზვიად აფხაზავა – ჯგუფის ხელმძღვანელი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

2) პაატა ფირცხალაიშვილი – ჯგუფის წევრი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

3) მერაბ წილოსანი – ჯგუფის წევრი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;

4) გია ორაგველიძე – ჯგუფის წევრი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

5) მარინე თურნავა – ჯგუფის წევრი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ლანჩხუთელები“ – ს თავმჯდომარე;

6) ამირან გიგინეიშვილი – ჯგუფის წევრი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

7) ნუგზარ ღლონტი – ჯგუფის წევრი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

8) სარდიონ ჩხაიძე – ჯგუფის წევრი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/ შემსრულებელი;

9) ზაზა ქავზინაძე – ჯგუფის წევრი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი;

10) იოსებ ჩხაიძე – ჯგუფის წევრი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახურის უფროსის მ/ შემსრულებელი;

11) პაატა ურუშაძე – ჯგუფის წევრი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მთ. სპსციალისტის მ/შემსრულებელი.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, პაატა ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია სამუშაო ჯგუფის პერსონალურ შემადგენლობას დაემატოს დეპუტატი, დავით წულაძე, რაზედაც დეპუტატმა დავით წულაძემ უარი განაცხადა.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ სხვა მოსაზრებები და შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 – მა (სამი) დეპუტატმა – მაკა კვიციანი, დავით წულაძე, მარინე თურნავა.

მიღებულ იქნა განკარგულება N98 (26.11.2012 წელი).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ.

მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 10 თვის ბიუჯეტის მიმდინარეობის ანალიზის შედეგად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 2012 წლის ბიუჯეტის გეგმაში განხორციელდეს კონკრეტული ცვლილებები. მომზადდა შესაბამისი პროექტი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისი ნორმატიული აქტის მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული საქმისწარმოება, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტიძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 – მა (სამი) დეპუტატმა – მაკა კვირკველია, დავით წულაძე, მარინე თურნავა.

მიღებულ იქნა განკარგულება N99 (26.11.2012 წელი).

სხვადასხვა.

1. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ გააკეთა ინფორმაცია, რომ კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა დეპუტატ დავით წულაძის განცხადება მის მიერ ფრაქცია „ლანჩხუთელების“ დატოვების თაობაზე, რაც დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

2. დეპუტატმა დავით წულაძემ აღნიშნა, რომ საკრებულო ვალდებული იყო საკრებულოს სხდომაზე გაკეთებულიყო განცხადება სოფ. ნიგვზიანში მოსახლეობას შორის მოხდარ რელიგიურ უთანხმოებასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ პარლამენტის ყოფილმა მაჟორიტარმა დეპუტატმა, გია გოგუაძემ ხმა მისცა სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმებულ შეთანხმებას, რომლის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვალდებული იყო დაერეგულირებინა სოფ. ნიგვზიანში რელიგიურ უთანხმოებასთან დაკავშირებით მომხდარი პროცესები.

დეპუტატ დავით წულაძის მიერ დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ სოფ. ნიგვზიანში მოსახლეობას შორის რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი უთანხმოების მოგვარების მიზნით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გატარებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

მას მიაჩნია, რომ საკითხი ძალზედ ფაქიზია და იგი მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ სოფ. ნიგვზიანში მომხდარ რელიგიურ ინციდენტთან დაკავშირებით განმარტა, რომ იგი იყო წმინდა რელიგიური და არა პოლიტიკური საკითხია. ამდენად ნურავინ ნუ შეეცდება მის პოლიტიზირებას და მის გამოყენებას პირადი პოპულიზმისათვის.

3. დეპუტატმა დავით წულაძემ დააყენა წინადადება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ, აქციის მონაწილე შოთა ფირცხალაიშვილის მოთხოვნების განხილვის თაობაზე.

დეპუტატ დავით წულაძის მიერ დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ იგი, როგორც თვითმმართველობის მიერ დაქირავებული სახელმწიფო მოხელე, პატივს სცემს საზოგადოებრივ აზრს და მზად არის დაემორჩილოს მის კანონიერ მოთხოვნებს. მისთვის, როგორც პიროვნებისათვის, ძალზედ სამწუხაროა თუნდაც ერთი ადამიანის მიერ რაიმე ფორმით გამოხატული პროტესტი. ამასთანავე მას მიაჩნია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველგვარი ზეწოლა დაუშვებელია და იგი სცილდება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპებს.

დეპუტატმა, მაკა კვიციანიამ დადებითი შეფასება მისცა გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, კახაბერ ასკურავას მიერ გაკეთებულ განცხადებას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით თანამდებობის დატოვების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ცვლილებები ადგილობრივ თვითმმართველობებში განხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით არა ადგილობრივ, არამედ პრემიერ მინისტრის დონეზე. მიუხედავად მასსა და კახაბერ ასკურავას შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულებისა, იგი მაინც არ დაუჭერს მხარს გამგებლის თანამდებობაზე მის კანდიდატურას მათ შორის არსებული პოლიტიკური შეხედულებების მკვეთრი სხვაობის გამო.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ გააკეთა განმარტება გამგებლის თანამდებობაზე კანდიდატურის დამტკიცების წესის შესახებ. მან აღნიშნა, რომ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ, კახაბერ ასკურავას მიმართ არც მას და ასევე, არც საკრებულოს წევრებს არ გააჩნიათ არავითარი პრეტენზია, ვინაიდან იგი თავის მოვალეობას ასრულებს კეთილსინდისიერად. გამგებლის კანდიდატურის განხილვა და

მისი დანიშვნა განხორციელდება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარემ, მარინე თურნავამ მოითხოვა განმარტება თუ რა ღონისძიებები გატარდა პრესაში გაუღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით დეპუტატ ჩახვადის მიერ სპეციალური კომისიის შექმნის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

დეპუტატ, მარინე თურნავას მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ განმარტა, რომ საკითხის შესწავლა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ექვემდებარება მხოლოდ სპეციალურ უწყებას და იგი სცილდება საკრებულოს მიერ შექმნილი კომისიის კომპეტენციას.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:



რევაზ ჩიტბე

საკრებულოს აპარატის უფროსი:



ნინო ძიდიგური

თანაშემწე:



დონარა დოლიძე

საკრებულოს საოქმო და საქმისწარმოების
განყოფილების უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი:



მაია კეკელიძე